

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-  
გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-  
ში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-  
გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახ-  
ლებში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტო-  
რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типо-  
лит. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: თბილისში—  
8 მან., ნ. ხვეარ წლისა—4 მან. და  
50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორჯერად გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს,  
რუსულს, სომხურს და სხვ. ენებშიც

# დროება

სალკე ნომერი ღირს შაურათი

ფასი განცხადებისა: ცხელი წიგნ-  
ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით  
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-  
ცროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-  
ასწოროს და შეამოკლოს დასაბუქდათ  
გამოგზავნილი სტატიები. დაუბუქდ-  
ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-  
დება.

პირველი ენაენისთვიდამ  
ამ მდგომარეა წლის დასაწყისამდე

## „დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვის წლის  
დასაწყისამდე—ორ მანეთად.

ხელის-მომწერა შეიძლება თ თ-  
ლისში: რედაქციაში, სერგიევს ქუჩა-  
ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღ-  
რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Типо-  
лит. Въ редакцію газеты „Дроება“.

## საქართველო

თფილისის სასულიერო სემინარია

ჩვენ ვაცნობთ ამ დღეებში მკითხვე-  
ლებს, რომ თფილისის ჩამოვიდა პეტერ-  
ბურლიდამ სინოდისაგან გამოგზავნილი  
პირი (უფ. ბრიგორეცკი), რომელიმანც  
ჩვენს სასულიერო სემინარიაში უნდა  
მოახდინოს რევიზია.

ამას წინათ გამოვაცხადეთ და ახლაც

ვაცხადებთ სურვილს, რომ ამ რევიზორ-  
მა სინოდისაგან, მაგრა მოჰქიდოს ხელი  
თავის მონდობილებას.

საქმი იმას ბევრი ექნება; სარევიზო  
საგნები ბევრი მოიპოვება უფ. პეტერ-  
ბურლიდის ხელში მყოფს სასულიერო სემინა-  
რიაში.

მართლაც, მგონი არც ერთს რუსე-  
თის სემინარიაში არ მიდის ისე ცუდათ,  
ისე უთავბოლოთ სწავლისა და სწე-  
ყველა საქსეები, როგორც ამ ჩვენს სემი-  
ნარიაში.

რამდენი დაიწერა ამაზედ აღგილობ-  
რის გაზეთებში, რამდენი უკანონოა  
უჩვენეს ამგაზეთებმა, რომელიც სემინა-  
რიის მთავრობას ჩაედინა, რამდენი  
გადაცდენა დამტკიცებულს პროგრამაზე,  
რამდენი შაგირდის ტყუილ-უბრალოთ  
გამოყრა და სხვ. და სხვ. მაგრამ ჯერ-  
ჯერობით, საუბედუროთ, არა გამოსუ-  
ლა რა. . . .

ცხადათ იყო, მაგალითად, დამტკიცე-  
ბული, რომ რამდენიმე ყმაწვილი მხო-  
ლოთ იმიტომ გამოჰყარა სემინარიის  
მთავრობამ რომ, ქართულ წიგნებ-  
სა ანუ გაზეთებს ჰკითხულობდნენ; ცხა-  
დათ იყო დამტკიცებული, რომ ყმაწვი-  
ლებს დაჰპაღ, აქროლებულ თევზს აჭ-  
მევდნენ, აქროლებულ, გაფუჭებულ,  
ჭიან პურს და მთელი დიდი ძარხვის

განმავლობაში მარტო ლობიით ბერაე-  
დნენ; გაზეთებში გამოცხადებული იყო  
უფ. პეტერბურლიდის მოწაფის შევლი-  
ვის ძმასთან მიწერილი, რომელიმაც  
იწერებოდა, რომ თქვენი ძმა უნიჭო  
არის, ვერ ისწავლისო, მაგრამ მღვდლად  
ძალიან კარგათ გამოვადგებაო, და ამავე  
ღროს სემინარიის მთავრობისაგან მიცე-  
მულს მოწაფობაში ნაჩვენები იყო, რომ  
ეს შაგირდი კარგათ სწავლობსო; ცხა-  
დათ დამტკიცებული იყო, რომ ქუჩაზე-  
დაც არ ასვენებს შაგირდებს, ყველგან  
დასდევს ამათ, ქუჩაზე, ბულვარზე დაი-  
ჭერს, ჰყვირის, ურისხდება, სემინარიაში  
ან სახლში გაჰყურის და ეხვ. და სხვ.

შველა ეს იყო დამტკიცებული, საქვეყ-  
ნოთ გამოცხადებული, მაგრამ, როგორც  
შვეით მოგახსენეთ, არა გამოვიდა-რა.

ახლა კი, თუ ეს ახალი რევიზორი  
უფ. ბრიგორეცკი უფ. პეტერბურლის გზას არ  
დაადგა და რაღაც ქირთველების პარტი-  
ას, რომელიც ვითომ სემინარიაში და  
საზოგადოთ ჩვენს ქვეყნაში სუფევსო,  
არ დაუწყო უნაყოფოდ ძებნა, უეჭველია,  
რომ ეს რევიზორი ყველა ამ უწყისე-  
ბასა და იქნება ბევრ სხვასაც აღმოაჩენს.

ჩვენი ნატურა ეს არის, რომ სასული-  
ერო სემინარიის პროგრამა სრულად  
და რიგიანათ იყოს შესრულებული. ამ  
პროგრამის შემდგენელს კარგათ სცოდ-

## ფელტონი

ახალციხის ფელტონი

(დასასრული)

ბავლილ კვირას, რომელიმე შემთხვე-  
ვით შეაბლიანისაკენ მომიხდა გზა. უღის  
სოფელში გავიარე პირველად. ეს სო-  
ფელი უწინ დაბა ყოფილა; შეიდი ეკ-  
ესიის ნანგრევებისაგან მხოლოდ დღეს  
ორი ეკლესია დაშთენილა. აღრე ხუ-  
ცური ნაწერები ყოფილა, და ვილაც  
ჰქუის კოლოფს წაუშლვეინებია; მხო-  
ლოდ აღმოსავლეთის მხარეს ერთს ქვა-  
ზედ არაბული აწერია; მეორე ეკლესიის  
ერთ აღმოსავლეთის მხრის ქვაზედაც  
სომხური რიცხვი ამოუჭრიათ განგები-  
სად. ეკლესიებს შენებულება კი ნამ-  
დვილად მესხთ ტომისა ძველის-ძველი.  
როგორც სჩანს ქვების დაფხავებულო-  
ბისაგან, ათას-ხუთასი წლისანი უნდა იყ-

ენენ ან უფრო მეტის. ამ დაბას კარგ  
მაგარ კლდეზედ ციხეც ჰქონია, ახლა  
მთლად დაქცეული. მხოლოდ ერთიოდ  
ნახევარ ნაქცევი კოშკი-ლა სჩანს. ახ-  
ლა აღმოჩენილა ამ ციხის აღმოსავლე-  
თის მხარეს ციხაბო კლდეზედ ამოჭრი-  
ლი ორმო, მაგრამ წყლიანი ყოფილა;  
ვინ იცის იქნება ჰაც იყოს.

ამ სოფელში ძირითადნი კათოლიკე-  
ნი სცხოვრებენ ას ოც მოსახლზე მე-  
ტი და მაჰმადიანებიცა.

მეორე დღეს ბოლაქურს გაველ.  
მხოლოდ ვაკლესია იქა ვნახე, ერთი  
მცირე და მეორე მოდილო; მაგრამ  
მრთლად დარღვეული. აღმოსავლეთის  
ფანჯრის ქვაზედ ეწერა ხუცურად ერთი  
სტრიქონი:

„წმინდა ღმერთო, შეიწყალე სუ-  
ლი შემასრულებელისა.“

ბოლაქურის ახლო სოფელი მოჩანდა,  
სმადა (ძმადა) ეწოდება; ნახევარ საათის  
გზა იყო; არ დავიზარე წასვლა; მართლა  
დამიხვდა ეკლესია მრთელი და სამ-

ოთხ აღგილას ნაწერები. რადგან მზე  
ჩაგვიდიოდა, დავმშურე; ეკლესიის კა-  
რის ზემოდ კამარედ ნაწერი იყო ორ-  
სამ სტრიქონად; მე მხოლოდ ერთი  
სტრიქონის ამოწერა მოვაწერე ძლივ,  
წვიმა-ქარმაც მოგვისწრო და გამოვბრუნ-  
დით უკანვე უღეს, აი ესე ეწერა:

— „ამ ეკლესიისა აღმშენებელ-  
სა მრისთავსა შაბურის ძეს მაწყვარელ  
(პწყვირის მიტრაპოლიტს) მარკოზსა შე-  
უნდას.“

მესამე დღეს წყისეს ავედი. იქაც ორი-  
ოდე ნაქცევი ეკლესიები ვნახე; მაგრამ  
ქვები მაჰმადიანებს თავიანთ სახლებს  
კედლებზედ მოუხმარიათ, ერთ ახალ სა-  
ხლსაც აშენებდნენ, რამდენიმე ეკლეს-  
იის ქვები იმის კედლებშიაც ჩაეტანე-  
ბინათ.

მე შევიტყე, ამ ათი თუ თხუთმეტი  
წლის წინად, მსმალოს მთავრობას  
ბრძანება გაუცია, ჩილდირისკენ, არ-  
ტანისაკენ და მათ მოყოლებდა.

„მისაც ძველი ნაეკლესიევიტგან ქვე-



ნია, რომ ოფილისის სემინარიაში კურს-შესრულებულები ქართველი ხალხის მოძღვარნი და გზის-მაჩვენებელნი უნდა შეიქნენ და მაშა ქართული უნდა იცოდნენ. ამის გამოც ქართულს ენბს ადგილი აქვს ამ პროგრამაში.

ჩვენი ნატურა ეს არის, რომ სემინარიას კარგი, პატიოსანი გამგებელი ჰყავდეს რომ სწავლის საქმეები რიგიანად წაიყვანოს და ცოტა კაცური ცხოვრებაც მიენიჭოს ბურსაში მყოფს პანსიონერებს.

ჩვენი ნატურა, ერთის სიტყვით, ის არის, რომ ამ ერთადერთს ჩვენს სასულიერო სემინარიაში უფრო თავიანდა წაიყვანონ საქმეები და მათ ასრულებინონ იმას თავის მიძიმე დანიშნულება.

იმედი გვაქვს, რომ ამ საქმის შესრულებას გააადვილებს ახალი რევიზორი თავის სინიღისიანი მოქმედებით და პატიოსანი რევიზიით.

ს. მ.

დღიური

\* \* ჩვენ გვიამბეს შემდეგი ამბავი, რომელიც ისეთი ძნელი დასაჯერებელია, რომ, სანამ ბეჯითად და დაწვრილებით არ შევიტყვით, მართალი გითხრათ, არ გჯეროდა. აი გარემოება რასში მდგომარეობს:

მრთს მამულის მეპატრონეს ოფილისის გუბერნიის ერთა უფბრთაგანში ნდომებია თავის მამულის გაყიდვა. მრთს მეზობელთაგანს ამ შემამულისას, რომელიც ძალიან გავლენიანი პირია, შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, იმწამსვე ახლო-მახლო სოფლების მამასახლისებისათვის ბრძანებითი წიგნი გაუგზავნია, ხალხს გამოუცხადეთო, რომ იმ მამულის ყიდვას მე ვაპირებ და შეცილება არაეინ გაბედოსო!

ზღვებებს გამოუცხადეს და მართლაც, რადგან დიდი კაცი არისო და ყველაფერი შეუძლიაო, ვეღარ გაბედეს ყიდვა,

თუმცა ძალიან უნდოდათ და ეჭირებოდათ ის მამული.

ამ ნაირად იმ მამულის მეპატრონეს თითქმის სამი წელიწადი დარჩა გასასყიდი ადგილი გაუყიდავად: არც თერთონ ის ვაჭრები ჰყიდულობდა და ვეღარც მოსამზღვრე გლეხები ბედადნენ ყიდვას.

ახლა იმ გავლენიან კაცს მოუღია მოწყალება და, რადგან ფულიები ვეღარ უშოვნია საყიდლად, ხელ-ახლად გაუგზავნია მამასახლისისათვის წიგნი, ხალხს შეატყობინეო, რომ მე აღარ ვყიდულობ იმ მამულს და ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოსო!

როგორ მოგწოდთ ამისთანა მოქმედება ისეთის პირისაგან, რომელიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, შემჩნეულ პირად ითვლება?

\* \* საეკიმო უწყების განკარგულებით ამას წინათ გაჩხრიკეს ვაჭარის პლელოვის თევზის მალაზია და დოქტორების შემოწმებამ აღმოაჩინა, რომ მომეტებული ნაწალი იმის თევზისა სრულებით აყროლებული, დაჭიანებული და გაფუჭებული იყო; ასე რომ ას-სამოცი ფუთი გადააყრევინეს.

რომ არ დაეხდნათ და რომ არ ენახათ, უეჭველია, უფ. პლელოვი ამ თევზს ხალხზე გაჰყიდა, და ვინ იცის, რამდენი კაცი აეთ გახდებოდა და, იქნება, კიდევ მოკვდებოდა ამ ჭიანი თევზისაგან.

\* \* ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ რამდენიმე მცხოვრებელი, რომელნიც რუსის შემოსვლის შემდეგ გადასახლდნენ აქედამ, ამ დღეებში დაბრუნდნენ უკან ტრაპიზონიდანაო, რადგან იქ ერთობ გაჭირებოდათ ცხოვრებაო. ამის გამო ზოგიერთი პირები, რომელნიც აპირებდნენ გადასახლებას, დარჩნას აპირებენო.

ბი წაუღიათ, ძველად თუ ახლა, ისევ თავის ადგილას მიიტანეთო.“ ბევრს კედლები, ბუხრები, ფურნები დაუქცევიათ და ნაეკლესიეზუნდევ მიუტანიათ! თუ მსმალოს მთავრობა ესრედ სასტიკად კი ეპყრობა, განა ჩვენში ამხედ ჯეროვანის ყურადღების ძნელი იქნება, ვისიკ ჯერი იყო?

ამ სოფლის ბოლოს ორი ათიოდე ფუნის სიგრძის ქვის სვეტები სჩანდა აქეთ-იქით გორებზედ ამართული. მივედ, ენახე, ამათ თავზედ ჯვრები რქობოდა და მაჰმადიანებს მოუშტერვიათ. მრთის სვეტის ძირზედ აწერია ძველებურ ხუცურად:

„ეს ჯვარის ქვა მე ქონსტანტინეან და ბუდასმან აღვმართეთ სახელსა (ზედა) მცხეთის ჯვარისა. . .“ შემდგომნი ოთხიოდე სტრიქონნი ქვისა სიძველით აღარ იკითხება.

მეოთხე დღეს ზარზმისკენ გავემართე. სმადის სოფლის ბოლოდგან შეყოლება წყლის პირობის ქალები სახნავ-სათესია.

დავაკვირდი, სულ, ჯირკები მოურგიან ყანებში და ზედ მრთლად სხვა-და-სხვა რიგის საუკეთესო ვაშლ-მსხლები დაუმყნიათ ზარზმის ბოლომდის საათ ნახევრის სავალი გზა! შექველია, აქ ათ წლამდის უდის ხშირი ბაღჩებისაგით ხეივანი გაიპართება.

ზარზმის ხიდი რა გავიარე—ეკლესიის შესავალ გზებზედ დაეწყე თვალიერება; აქ მეგულებოდა შემუსერილი მენერის ქვის კერპი, რომელიც ოცი წლის წინად ამართული იყო ერთს ქვის თავზედ. თურმე ახალგაზდა ყმაწვილ კაცები ბევრ სათაკილო ურიგოსა ჩადიოდნენ და ხიმარ-ოღლის კნენიან გზას ქვე ჩააგდებინა ეს კერპი პირქვე; მაგრამ სამწუხაროდ ვეღარსად ვეღარ ენახე.

მივედი ეკლესიაზედ; მშენებელი ჩუქურთმებით შემკობილია ეკლესიის კარი, ბქე, კანკელი, გვირგვინი და აღმოსავლეთ კედელზედ საუცხოვო ყვავილებით გამოყვანილი ვეებერთელა ჯვარი. ზედ წარწერაებში გაგაცნობთ მხო-

\* \* \* ბაზეთს „Голосъ-ში“ დამტკიცებულია ძავეკასიილამ მოწერილი 112 სექტემბერს შემდეგი საინტერესო კორესპონდენცია:

„ამ ბოლო დროს ძავეკასიას მოგმატა მცირე აზიაში იმდენათ შესანიშნავი მიწები, რომ ამის გაცნობა ძალიან საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის.

„ბანათლების ნაკლულევენება საქართველოში ძალიან საგრძობელია; წიგნის ცოდნა ჩვენში არის გავრცელებული მარტო მალაოს და შუათანა საზოგადოებაში. მალაო საზოგადოება, თავადები, წერა-კითხვის ცოდნის მეტს არას დასდევს; ის თავის სიცოცხლეს ქეიფში და მიმინოთი ნადირობაში ატარებს და არც კი რჩებათ დრო და არცა აქეთ სურვილი სწავლისა და გონების გახსნისა.

„მაგრამ შესანიშნავია, თუ რა სიფრთხილით ინახავენ ქართულ წიგნებს. რაც უნდა გულითადი მეგობარი იყოს, იმასაც კი არ ათხოვებენ ხოლმე. ამგვარი სიფრთხილით შენახვა წიგნებისა იმისაგან წარმოსდგება, რომ ძველ დროს, რადგან იშვიათი იყო წიგნების ბიჭდვა და თითქმის სულ ხელით დაწერილები ჰქონდათ, ამისათვის წიგნი ძალიან ძვირათ ღირდა.

„შუათანა საზოგადოებაც კმაყოფილდება მარტო წერა-კითხვით; უნდა გითხრათ, რომ შუათანა საზოგადოება საქართველოში იმნაირი არ არის, როგორც შეროპაში ეხსიან, ესე იგი ვაჭარი, ბურჟუაზია; ეს არის წვრილი მემამულე, რომელსაც სძულს ვაჭრობა და ხელოსნობა. შეუჩვევლნი სხვა გვარ მუშაობას, ისინი თავიანთ სახლობის შესანახავათ მთელს თავიანთ დროს მიწის შემუშავებაში ატარებენ.

„რაც შეეხება გლეხ-კაცს, შეიძლება ითქვას რომ სრულიათ არ იციან წიგნი, თუმცა ამ ბოლო დროს მმართველობის განკარგულებით იმათ გახსნეს შკოლები და ყველა საზოგადოება მასწავლებელს

ლოდ სამიოდეს: სამრევლოს ჩრდილოეთით მიდგმულ ეკეტერის კედელზედ ერთ მხარედ ასრე აწერია:

— „სახელითა ღვთისათა და წმიდისა ღვთის-მშობლისა მეოხებითა, მე იოვანე ძემან სოლომონისმან აღვაშენე წმინდა ეკეტერი მას ყამსა, ოდეს საბერძენეს განჰსდკა სკლიაროს; დავით ძურატ-პალატი. აღიდენ ღმერთმან. შეველა წმინდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვაღიწა, სკლიაროსი განვაქციეთ...“

„რ სტრიქონ ნახევარი დანაშთი ძნელად იკითხება:

„მორე მხრის ქვა, რომელიც ნაწერი ყოფილა ამისაგით, გადმოვარდნილა კედლითგან თავის თავად თუ განგებისად გარდმოუგდიათ. აღარსად არა სჩამს; მაგრამ ჩვენებურმა ერთმა მღვდელმა დამარწმუნა, რომ ის ქვა იმნაირ ადგილას შენახულია იქვე და კირით ამოღესილი, რომ ჩემის მეტმა კაცმა არ იცისო. თუ ასრეა, იმედი



ინახავს. მაგრამ სწავლა ზოგიერთ ადგილას ძალიან ცუდად მიდის, რადგან მასწავლებლები, როგორც მაგალითად იმერეთში, მომეტებული ნაწილი გიმნაზიის მეორე და მესამე კლასიდან გამოგდებული ყმაწვილები არიან და თითონაც არა აქვთ იმოღვანა სწავლა, რომ გადასცენ ყმაწვილებს.

„ზანათლების სურვილი კი ხალხში გასაკვირველია. შევლა კერძო სასწავლებლები საესეა მოსწავლეებით. თფილისის და მუთაისის გიმნაზიებში და სასულიერო სასწავლებლებში ყოველ წელიწადს უანგარიშო მსურველია; მარტო მუთაისის სასულიეროსასწავლებელში ყოველ წელიწადს 600-ზე მეტი მოსწავლეა და იარასზე მეტი რჩება უსწავლელი, რადგან არ იღებენ სასწავლებელში. მისაც უცხოვრია მუთაისში და თფილისში, უეჭველია, შეამჩნევდა, რომ რვა—ცხრა წლის ყმაწვილები იხვეწებიან სამსახურს, ბიჭად ღვებიან, რომ მაგიერად მათ ასწავლონ წერა-კითხვა. და ბევრი არიან ჩვენში ისეთი ბატონები, რომელნიც სარგებლობენ ყმაწვილების ამგვარის სურვილით და ხალისით, იმსახურებენ და არც არაფერს ასწავლიან ხოლმე.

„ღანძღვა, დასჯა და ცემა ჯერაც არ არის სრულიად ამოგდებული არა თუ წერილოს სასწავლებელში, მაგრამ აქაურ მუთათანა სასწავლებელშიაც. ღიდიხანი არ არის; რაც მოსპვენ ყმაწვილების ცემა; უსადილოთ დატოვება, ბნელს ოთანში პურზე და წყალზე შეგდება ყმაწვილისა, ამხანაგებთან ყმაწვილების შერცხვენა ეხლაც ძალიან ხშირია ჩვენში.

„ძართული გაზეთები ტყუილათ არ ჩივიან ამაზე; ისინი ჩივიან იმაზედაც, რომ თითქმის ყველა მუთათანა სასწავლებლებში მოსპვენ ქართული ენის სწავლა.

„თფილისის სასულიერო სემინარია

კი ყველა აქაურ სასწავლებელს გადაჭარბა ქართული ენის ღვენაში. სემინარიის მოწაფენი, რომელნიც ქართულს გაზეთებს ან წიგნებს ჰკითხულობენ, დატანჯული არიან სემინარიის მთავრობისაგან. ძართული წიგნის და ნამეტნავათ ქართული გაზეთის კითხვისათვის ხშირად აგდებენ სასწავლებლიდა.

„ბევრნებათ, რომ აქ რუსული ენის სწავლა მაინც ძალიან კარგათ უნდა მიდიოდეს, ეს ენა კარგათ უნდა იცოდნენ შავირდებმარ. მაგრამ სემინარიაში სწავლა-გათავებულმა ყმაწვილებმა ყველა სხვა სასწავლებლის შვეირდებზე უფრო ცუდათ იციან რუსული.

„რა უნდა იყოს ის სასწავლებელი, რომელიც სრულებით არ ასწავლის სამშობლო ენას, ვერც რიგიანათ რუსულს და სხვა ევროპაიულ ენებს ხომ სრულიათ არა?“

\* \* ჩვენ მოგვიტანეს გაზეთში გამოცხადებულათ შემდეგი ანგარიში იმ სპექტაკლის შემოსავლის და გასავლისა, რომელიც 25-ს ენკენისთვის იყო ნემეცების კლუბის ზალაში ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი.

ბილეთები სულ 240 მანეთისა გაიყიდა; ამასთანავე 15 მანეთისაც უფასოთ აქა-იქა დაირიგა.

ხ ა რ ჯ ი ი ყ ო :

ზალა მოსამსახურებით და პოლიციის სალდათებით	—	—	53 მ.
მუზიკა	—	—	31 მ.
ქალტიუმები	—	—	24 მ.
ბანცხადებები	—	—	4 მ. 80 კ.
სცენისთვის ვაშლები	—	—	60 კ.
პარიკმახერი	—	—	8 მ.
პიანისტკა	—	—	4 მ. 60 კ.
ჭაიბონი და წვრილმალის ხარჯი	—	—	10 მ.

მაქეს, იმასაც გამოვსწერ როდისმე ჩვენი ისტორიის წყაროდ.

ღიდ ეკკლესიის კარის ბჭის ახლოს მიღმულ ეკეტერის კარს აწერია:

— „პისა ამშენებელსა წინამძღვარს ხურციძესა ბაბრიელსა შეუნდოს ღმერთმან. მისა ღვდასა პატრონსა იოანეს ასულსა გულდამყოფილსა ბაიანეს შეუნდოს ღმერთმა“.

სამრეკლოს აღმოსავლეთის კედელზედ მალლა თავში აქეთ-იქით ასრე აწერია:

„აღშენა ესე წმინდა ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა იოანე მახარებელისა ნებითა ღვთისათა (თავადთა) და (ღიდებულისა) ბრძანებითა ყოველს ქეყანასა სახელ განთქმულისა აგარიანთ პირად-პირადისა და მეუფლისა ხურციძისა პატრონიასა სტეფანესი, სულისა მისისა, განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმა. მღვთღელ-მთავართ მთავრობასა ხურციძის პატრონის მარტო მყოფისა სპირიდონისა. მორონიკოს სდგე.“

ჩვენს ისტორიაში ხურციძედ აღწერილია, როცა მოგვიტოვლის სამცხეთის თავად ღიდებულთა; ამ ეკკლესიაზედ კი ხურციძედ გამოყვანილია. მს წოდება უნდა იყვეს ახლანდელი შოცხოვეგების წინაპართ საკუთარი სახელი. ამ წარწერაში უძველესია ღავით ძურატ-პალატის გამარჯვებას კლიაროსზედ მონაზონი მორონიკის მხედართ მთავრობითა 990 წელს, რადგან იმ ღროს ღავითს მოხუცებულობით აღარ შეეძლო ომში შესვლა. ამ ძურატ-პალატისა მხედართ-მთავარი იყო ჰავანეთის მხარედ ბამრეკელიცა, რომელმან მრავალნი გამარჯვება მოიგო აგარიანებზედა მსგავსად ხსენებულის პატრონის ხურციძის სტეფანესი. რა ასრე საკვირვლად განითქმობდა ღლითგან ღღზე სახელი მორსკარკლის ღიდებულის ღავით ძურატ-პალატისა არა თუ მარტო საქართველოს, იგივე სომხეთსაც იჭერდა ერთიან, მისცეს სომხებმა საწამლაგი; მაგრამ სცნა თვით ღავით ძურატ-პალა-

ტფიშებისა და ბილეთების და ქალაღი —

სულ 143 მანეთი

თენი ღარჩა 97 მანეთი წიგნების დასაბეჭდავათ და მე მაქეს შვეგროვილი ფული 68 მანეთი ამ მიზნისათვისვე—სულ 165 მანეთი გვაქეს.

3. მანამე

„სოლი თუ გინდათ მს არის !!“ \*

25 ენკენისთვის ქართული სცენის მოყვარეთა წარმოდგინეს ნემეცების კლუბის ზალაში ორი ვოღდელო: „ჭერ ღინხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“ და „სოლი თუ გინდათ ეს არის!“

ხალხი ბევრი დაესწრო წარმოდგენაზედ და ხარჯის გარდა კიდედ ღარჩა ცოტაოდენი ფული. პირველი წყობის, კრესლოს ბილეთები ჩვენი ხელით მივართით ჩვენგან პატრესაცემს პირებსა, თუმცა ერთში კი მოგეტყუდით, რომელმაც ბილეთი ბრაზიანათ უკან ღდგმოგვიღლო და თანაც დაატანა: „убирайтесь къ чорту съ вашими грузинскими спектаклями!“ მს დალოცვილის შეილი რალსა გვლანძღავდა—თუ ბილეთი არ უნდოდა, ნუ აიღებდა. მაგრამ კაცს რომ სიბრძნე აღარ დაეტევა ხოლმე ყელში—ეს ის გახლავსთ! თითქოს კისერი კი სქელი აქეს ამ კაცსა და სიბრძნე რატო არ უნდა ეტეოდეს? ბი გამოცანა.

საზოგადოთ სპექტაკლი რიგიანათ გათავდა. შევლა კმაყოფილებას აცხადებდა ბრავოს ყვირილითა და ტაშის კვრითა. მე თუმცა მოთავე გახლდით, მაგრამ

\* „ღროების“ რედაქციამ თავისი ჰაზრი ამ ბიესის შესახებ უკვე გამოსთქვა თავის გაზეთის 195 ნომერში; ახლა გვახსენებთ მკითხველს მხოლოთ, რომ ის ჰაზრი სრულიად არ ეთანხმება უფ. მ. ბაკურციხელის ჰაზრს. რედ.

ტმაცა მომქმედი პირნი; გარჩა აჩუქა ბრალი და ვგრედ კეთილად გარღაცვალა შემკობილ სულიერის და ხორციელის კეთილ მოღვაწეობითა.

ხაზალოს ეკკლესია აქაურ მცხოვრებთ ჯამედ (მეჩითად) აქეანან. აქაც არიან საკმაო ნაწერი ქეები; მაგრამ ერთ-ერთისაგან მოუცილებით, ზოგიც მიუშალ-მოუშალიათ, გასაგები აღარა იკითხება-რა, ასრე ნაკვეთ-ნაკვეთი ქეებთაგან. მხოლოდ ბოლაყურისა, სმადისა და ზარზმის ეკკლესიებზედა წმინდა ხელოვნური ნაკვეთები ყოფილა, ქორონიკონი კი სჩანს ნათლად სდგ.

მინე მესხი

ბალტიხე, ენკენისთვის 25-ს

